

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №52
2018 წლის 23 აგვისტო

ქ. ქობულეთი

„ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“
ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის №28 დადგენილებაში
ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

„ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“
ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის №28 დადგენილებაში (სსმ, 01.01.2018 წ., სარეგისტრაციო კოდი: 190020020.35.131.016222) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დანართი ჩამოყალიბდეს თანადართული რედაქციით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქობულეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

დავით მჭედლიშვილი

დანართი

თავი I

ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი

მუხლი 1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანადართული რედაქციით:

(ლარი)

დასახელება	2016 წლის ფაქტი			2017 წლის ფაქტი			2018 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
შემოსავლები	33 412 115	31 931 015	1 481 100	33 480 307	33 480 307	-	31 709 949	31 709 949	-
გადასახადები	4 904 285	4 904 285	-	4 824 791	4 824 791	-	4 000 000	4 000 000	-
გრანტები	26 403 907	24 922 807	1 481 100	26 155 292	26 155 292	-	25 338 263	25 338 263	-
სხვა შემოსავლები	2 103 923	2 103 923	-	2 500 224	2 500 224	-	2 371 686	2 371 686	-
ხარჯები	14 684 918	14 684 238	680	13 666 985	13 666 985	-	14 007 929	14 007 929	-
შრომის ანაზღაურება	6 426 253	6 426 253	-	6 318 819	6 318 819	-	7 285 073	7 285 073	-
საქონელი და მომსახურება	3 240 391	3 240 391	-	3 868 744	3 868 744	-	4 071 767	4 071 767	-



პროცენტი	360 560	360 560	-	314 458	314 458	-	306 381	306 381	-
სუბსიდიები	515 694	515 694	-	491 294	491 294	-	699 555	699 555	-
გრანტები	250 000	250 000	-	-	-	-	-	-	-
სოციალური უზრუნველყოფა	1 527 328	1 527 328	-	865 671	865 671	-	754 083	754 083	-
სხვა ხარჯები	2 364 692	2 364 012	680	1 807 999	1 807 999	-	891 070	891 070	-
საოპერაციო სალდო	18 727 197	17 246 777	1 480 420	19 813 322	19 813 322	-	17 702 020	17 702 020	-
არაფინანსური აქტივების ცვლილება	18 534 145	17 314 160	1 219 984	20 263 154	20 002 872	260 282	17 077 196	17 077 196	-
ზრდა	18 595 277	17 375 292	1 219 984	20 289 406	20 029 124	260 282	17 268 831	17 268 831	-
კლება	61 132	61 132		26 252	26 252		191 635	191 635	
მთლიანი სალდო	193 052	-67 384	260 436	-449 832	-189 550	-260 282	624 824	624 824	-
ფინანსური აქტივების ცვლილება	-743 900	-1 004 336	260 436	-1 496 251	-1 235 969	-260 282	- 663 946	- 663 946	-
ზრდა	510 436	250 000	260 436	52 100	52 100	-	44 200	44 200	-
ვალუტა, დეპოზიტები	260 436		260 436	-			-		
აქციები და სხვა კაპიტალი	250 000	250 000		52 100	52 100		44 200	44 200	
კლება	1 254 336	1 254 336	-	1 548 351	1 288 069	260 282	708 146	708 146	-
ვალუტა, დეპოზიტები	1 254 336	1 254 336		1 548 351	1 288 069	260 282	708 146	708 146	
ვალდებულებების ცვლილება	-936 952	-936 952	-	-1 046 419	-1 046 419	-	-1 288 770	-1 288 770	-
ზრდა	-			-			-		
კლება	936 952	936 952	-	1 046 419	1 046 419	-	1 288 770	1 288 770	-
ბალანსი	-	-	-	-	-	-	-	-	-

მუხლი 2. ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება:

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

დასახელება	2016 წლის ფაქტი			2017 წლის ფაქტი			2018 წლის გეგმა		
	მათ შორის საკუთარი შემოსავლები	სულ		მათ შორის საკუთარი შემოსავლები	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
შემოსულობები	33473247	31992147	1 481 100	33 506 559	33 506 559	-	31 901 584	31 901 584	-
შემოსავლები	33 412 115	31 931 015	1 481 100	33 480 307	33 480 307	-	31 709 949	31 709 949	-
არაფინანსური აქტივების									



კლება	61 132	61 132	-	26 252	26 252	-	191 635	191 635	-
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	-	-	-	-	-	-	-	-	-
ვალდებულებების ზრდა	-	-	-	-	-	-	-	-	-
გადასახდელები	34467147	33 246 482	1 220 664	35 054 910	34 794 628	260 282	32 609 730	32 609 730	-
ხარჯები	14 684 918	14 684 238	680	13 666 985	13 666 985	-	14 007 929	14 007 929	-
არაფინანსური აქტივების ზრდა	18 595 277	17 375 292	1 219 984	20 289 406	20 029 124	260 282	17 268 831	17 268 831	-
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	250 000	250 000		52 100	52 100	-	44 200	44 200	-
ვალდებულებების კლება	936 952	936 952	-	1 046 419	1 046 419	-	1 288 770	1 288 770	-
ნაშთის ცვლილება	-993900	- 1 254 335	260 436	- 1 548 351	- 1 288 069	- 260 282	- 708 146	- 708 146	-

მუხლი 3. ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები
განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 31 709 949 ლარის ოდენობით:

დასახელება	2016 წლის ფაქტი			2017 წლის ფაქტი			2018 წლის გეგმა		
	მათ შორის საკუთარი შემოსავლები	სულ		მათ შორის საკუთარი შემოსავლები	მათ შორის საკუთარი შემოსავლები		სულ	მათ შორის საკუთარი შემოსავლები	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები			
შემოსავლები	33 412 115	31 931 015	1 481 100	33 480 307	33 480 307	-	31 709 949	31 709 949	-
გადასახადები	4 904 285	4 904 285	-	4 824 791	4 824 791	-	4 000 000	4 000 000	-
გრანტები	26 403 907	24 922 807	1 481 100	26 155 292	26 155 292	-	25 338 263	25 338 263	-
სხვა შემოსავლები	2 103 923	2 103 923	-	2 500 224	2 500 224	-	2 371 686	2 371 686	-

ა) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 4 000 000 ლარის ოდენობით:

დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა
გადასახადები	4 904 285	4 824 791	4 000 000
საშემოსავლო გადასახადი	1 031 767	1 829 672	1 000 000
ქონების გადასახადი	3 872 518	2 995 119	3 000 000



ბ) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 25 338 263 ლარის ოდენობით:

დასახელება	2016 წლის ფაქტი			2017 წლის ფაქტი			2018 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
გრანტები	26 403 907	24 922 807	1 481 100	26 155 292	26 155 292	-	25 338 263	25 338 263	-
სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტები	26 403 907	24 922 807	1 481 100	26 155 292	26 155 292	-	25 338 263	25 338 263	-
საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი გათანაბრებითი ტრანსფერი	5 868 400	5 868 400		4 894 300	4 894 300		6 443 200	6 443 200	
სპეციალური ტრანსფერი	3 429 847	1 948 747	1 481 100	1 700 270	1 700 270	-	2 984 263	2 984 263	-
მ.შ. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი	1 481 100		1 481 100	-			-		
მ.შ. აჭარის არ რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გამოყოფილი სპეციალური ტრანსფერი	1 948 747	1 948 747		303 971	303 971		2 984 263	2 984 263	
მ.შ. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი სპეციალური ტრანსფერი	-			1 396 299	1 396 299		-		
კაპიტალური ტრანსფერი	17 105 660	17 105 660		19 560 722	19 560 722		15 910 800	15 910 800	
აჭარის არ რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერი	17 105 660	17 105 660		19 560 722	19 560 722		15 910 800	15 910 800	
გრანტები	26 403 907	24 922 807	1 481 100	26 155 292	26 155 292	-	25 338 263	25 338 263	-

გ) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 2 371 686 ლარის ოდენობით:

დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა
სხვა შემოსავლები	2 103 923	2 500 224	2 371 686
შემოსავლები საკუთრებიდან	648 496	459 143	546 380



პროცენტები	262 757	122 766	169 580
დეპოზიტებზე და ანგარიშებზე დარიცხული პროცენტები	262 757	122 766	169 580
რენტა	385 739	336 377	376 800
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	54 105	84 111	70 000
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	331 634	252 266	306 800
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	502 291	671 661	662 181
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	414 938	591 070	579 000
სანებართვო მოსაკრებელი	156 635	194 002	105 000
მოსაკრებელი მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვაზე	156 635	194 002	105 000
საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი	356	40	
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი		129 072	184 000
მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	257 947	267 956	290 000
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	87 353	80 591	83 181
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	87 353	80 591	83 181
სანქციები (ჯარიმები და საურავები)	706 922	1 086 028	1 003 700
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	246 214	283 392	159 425

მუხლი 4. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 14 007 929 ლარის ოდენობით თანადართული რედაქციით:

დასახელება	2016 წლის ფაქტი			2017 წლის ფაქტი			2018 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
ხარჯები	14 684 918	14 684 238	680	13 666 985	13 666 985	-	14 007 929	14 007 929	-
შრომის ანაზღაურება	6 426 253	6 426 253	-	6 318 819	6 318 819	-	7 285 073	7 285 073	-
საქონელი და	3 240 392	3 240 392	-	3 868 744	3 868 744	-	4 071	4 071 767	-



მომსახურება							767		
პროცენტი	360 560	360 560	-	314 458	314 458	-	306 381	306 381	-
სუბსიდიები	515 694	515 694	-	491 294	491 294	-	699 555	699 555	-
გრანტები	250 000	250 000	-	-	-	-	-	-	-
სოციალური უზრუნველყოფა	1 527 328	1 527 328	-	865 671	865 671	-	754 083	754 083	-
სხვა ხარჯი	2 364 692	2 364 012	680	1 807 999	1 807 999	-	891 070	891 070	-

მუხლი 5. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება **15 976 725** ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა **15 976 725** ლარის ოდენობით, თანადართული რედაქციით:

დასახელება	2016 წლის ფაქტი			2017 წლის ფაქტი			2018 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
წარმომადგენლობითი და ადმინისტრაციული ორგანოების დაფინანსება	56 331	56 331	-	324 979	324 979	-	1 277 941	1 277 941	-
თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	13 050	13 050	-	-	-	-	-	-	-
ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	15 599 124	14 379 139	1 219 984	17 768 228	17 507 946	260 282	14 237 622	14 237 622	-
განათლება	2 234 067	2 234 067	-	1 638 370	1 638 370	-	-	-	-
კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	690 370	690 370	-	552 492	552 492	-	458 132	458 132	-
მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	2 335	2 335	-	5 337	5 337	-	3 030	3 030	-
ჯამი:	18 595 277	17 375 293	1 219 984	20 289 406	20 029 124	260 282	15 976 725	15 976 725	-

ბ) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 191 635 ლარის ოდენობით:

	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა
--	-----------------	-----------------	-----------------



დასახელება	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
არაფინანსური აქტივების კლება	61132	61132	-	26 252	26 252	-	191 635	191 635	-
ძირითადი აქტივები	61132	61132	-	26 252	26 252	-	191 635	191 635	-

მუხლი 6. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა **31 276 760** ფუნქციონალურ ჭრილში, თანადართული რედაქციით:

(ლარი)

ფუნქც-კოდი	დასახელება	2016 წლის ფაქტი			2017 წლის ფაქტი			2018 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	3 230 063	3 230 063	0	2 649 138	2 649 138	0	4 402 101	4 402 101	0
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	2 242 954	2 242 954	0	2 015 290	2 015 290	0	2 823 218	2 823 218	0
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	2 055 204	2 055 204	0	1 886 843	1 886 843	0	2 699 440	2 699 440	0
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	187 750	187 750	0	128 447	128 447	0	123 778	123 778	0
7016	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	986 299	986 299	0	632 228	632 228	0	1 578 883	1 578 883	0
7018	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	810	810	0	1 620	1 620	0	0	0	0
702	თავდაცვა	127 049	127 049	0	107 631	107 631	0	121 046	121 046	0
7021	შეიარაღებული ძალები	127 049	127 049	0	107 631	107 631	0	121 046	121 046	0
704	ეკონომიკური საქმიანობა	4 673 176	4 673 176	0	9 238 297	9 238 297	0	8 069 193	8 069 193	0
	სოფლის მეურნეობა,									



7042	სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა	9 948	9 948	0	1 669	1 669	0	0	0	0
70421	სოფლის მეურნეობა	9 948	9 948	0	1 669	1 669	0	0	0	0
7045	ტრანსპორტი	4 441 254	4 441 254	0	9 035 400	9 035 400	0	8 069 193	8 069 193	0
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	4 441 254	4 441 254	0	9 035 400	9 035 400	0	8 069 193	8 069 193	0
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკის სფეროში	221 974	221 974	0	201 228	201 228	0	0	0	0
705	გარემოს დაცვა	3 535 950	3 535 950	0	5 127 454	5 127 454	0	2 604 244	2 604 244	0
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	1 486 539	1 486 539	0	2 832 597	2 832 597	0	2 241 881	2 241 881	0
7052	ჩამდინარე წყლების მართვა	2 049 411	2 049 411	0	2 254 857	2 254 857	0	362 363	362 363	0
7056	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა გარემოს დაცვის სფეროში	0	0	0	40 000	40 000	0	0	0	0
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	12 012 941	10 792 276	1 220 664	9 048 858	8 788 576	260 282	8 294 858	8 294 858	0
7062	კომუნალური მეურნეობის განვითარება	2 264 639	2 264 639	0	1 964 497	1 964 497	0	2 514 741	2 514 741	0
7063	წყალმომარაგება	7 275 552	7 275 552	0	5 527 484	5 527 484	0	4 665 212	4 665 212	0
7064	გარე განათება	699 321	699 321	0	765 366	765 366	0	695 000	695 000	0
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	1 773 429	552 764	1 220 664	791 511	531 229	260 282	419 905	419 905	0
707	ჯანმრთელობის დაცვა	218 729	218 729	0	444 173	444 173	0	556 537	556 537	0
7076	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში	218 729	218 729	0	444 173	444 173	0	556 537	556 537	0
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	2 374 431	2 374 431	0	1 797 281	1 797 281	0	1 702 430	1 702 430	0
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	1 432 187	1 432 187	0	923 582	923 582	0	847 840	847 840	0
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	805 691	805 691	0	751 878	751 878	0	854 590	854 590	0
7086	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურისა და	136 553	136 553	0	121 821	121 821	0	0	0	0



	რელიგიის სფეროში									
709	განათლება	5 145 447	5 145 447	0	4 753 273	4 753 273	0	5 046 222	5 046 222	0
7091	სკოლამდელი აღზრდა	2 232 246	2 232 246	0	2 407 032	2 407 032	0	3 061 316	3 061 316	0
7092	ზოგადი განათლება	0	0	0	0	0	0	0	0	0
70923	საშუალო ზოგადი განათლება	0	0	0	0	0	0	0	0	0
7098	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	2 913 202	2 913 202	0	2 346 241	2 346 241	0	1 984 906	1 984 906	0
710	სოციალური დაცვა	1 962 409	1 962 409	0	790 286	790 286	0	480 129	480 129	0
7107	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიცირებას	132 750	132 750	0	156 848	156 848	0	208 629	208 629	0
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	1 829 659	1 829 659	0	633 438	633 438	0	271 500	271 500	0
	მთლიანი ხარჯები	33 280 196	32 059 531	1 220 664	33 956 391	33 696 109	260 282	31 276 760	31 276 760	0

მუხლი 7. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო **624 824** ლარის ოდენობით.

მუხლი 8. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება (-663 946) ლარის ოდენობით.

მუხლი 9. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება (-1 288 770) ლარის ოდენობით.

მუხლი 10. ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეიქმნას სარეზერვო ფონდი 120 000 ლარის ოდენობით და მისი განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის მერის მიერ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 11. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის და ჯანდაცვის პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნების განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 12. სპორტული, კულტურული ღონისძიებები

სპორტულ, კულტურულ, პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

თავი II

ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

მუხლი 13. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

1. თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება (პროგრამული კოდი 02 00)



1.1. სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახური (პროგრამული კოდი 02 01)

საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის ქობულეთის მუნიციპალიტეტში ხორციელდება წვევამდელთა და რეზერვისტთა გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირებისა და გაწვევებთან დაკავშირებული ხარჯების უზრუნველყოფა.

2. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 00)

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელი პირობაა მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება წყალმომარაგებისა და კანალიზაციის რეაბილიტაცია, მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

2.1. საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებულ რეაბილიტირებულ ქუჩებში გადაადგილების უსაფრთხოებისა და სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის რეგულირება, მგზავრთა მუნიციპალური ტრანსპორტით გადაადგილების უზრუნველყოფა, გზებზე უსაფრთხო გარემოს შექმნა, რაც ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტში ჩამოსული ტურისტებისათვის მიმზიდველი და კომფორტული გარემოს შექმნას და ქალაქის იერსახის გაუმჯობესებას.

2.1.1. ქუჩების, ქუჩებს შორის გადასასვლელების (მათ შორის, ტროტუარებისა და ბორდიურების) კეთილმოწყობა (პროგრამული კოდი 03 01 01) .

ქვეპროგრამა ითვალისწინებს საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებებს ქალაქ ქობულეთში შიდა საქალაქო ქუჩების და ტროტუარების მოწყობას, ქუჩების მოასფალტებას, დეკორატიული ფილებით მოპირკეთებისა და სანიაღვრე სისტემის მოწესრიგების სამუშაოებს. კერძოდ დაგეგმილია: ქ. ქობულეთში, რუსთაველის ქუჩის მოასფალტება და სანიაღვრე არხების მოწყობა (II ეტაპი) ამ ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქ. ქობულეთში რუსთაველის ქუჩაზე ასფალტო-ბეტონის საფარის მოწყობა, საჯარო სკოლებთან და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებთან დამონტაჟდება სიჩქარის შემზღუდავი ბარიერი და მოეწყობა ვიბრო ხაზები. ასევე დაგეგმილია გელაურის უბნის (აჭარის ქუჩა; თხილაიშვილის ქუჩა; წერეთლის ქუჩა) კეთილმოწყობა, რომლის ფარგლებში მოხდება აჭარის, თხილაიშვილის და წერეთლის ქუჩების მოწესრიგების სამუშაოები, კერძოდ: მოწესრიგდება სანიაღვრე სისტემა; ტროტუარები და სავალი გზის სავალი ნაწილი მოპირკეთდება დეკორატიული ფილებით, შეიქმნება ხელმისაწვდომი გარემო შშმ პირებისათვის. ასევე დაგეგმილია ქ. ქობულეთში, კარიერის უბნის კეთილმოწყობა (მე-3 უბანი) რომლის ფარგლებში დაგეგმილია კარიერის მე-3 უბნის კეთილმოწყობის სამუშაოები, რომელიც ითვალისწინებს სანიაღვრე სისტემის მოწესრიგებას; ტროტუარების და გზის სავალი ნაწილის დეკორატიული ფილებით და ასფალტო-ბეტონის საფარით მოწყობას. მოეწყობა ჩასასვლელი პანდუსები და უსინათლოეებისათვის სპეციალური ბილიკი. ასევე დაგეგმილია ქ. ქობულეთში „მტს“ უბნის (კლდიაშვილის ქუჩა; ქიაჩელის ქუჩა; ქიაჩელის შესახვევი; კლდიაშვილის შესახვევი; მესხიძის შესახვევი) კეთილმოწყობა, ქვეპროგრამა ითვალისწინებს სანიაღვრე სისტემის მოწესრიგებას; ტროტუარების მოპირკეთებას დეკორატიული ფილებით და გზის სავალი ნაწილის ასფალტო-ბეტონის საფარით მოწყობას. დაგეგმილია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვიდეოკამერების შეძენა/მონტაჟი და ვიდეოკამერების ტექნიკური მომსახურების ხარჯი, რომლის ფარგლებშიც ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსდება სათვალთვალ ვიდეოკამერები. დაგეგმილია ქალაქ ქობულეთში, კლდიაშვილის ქუჩაზე (მარცხენა მხარეს) ტროტუარის მოწყობა, ქვეპროგრამის ფარგლებში მოეწყობა ბორდიურები, ტროტუარი მოპირკეთდება დეკორატიული ფილებით, ასევე მოეწყობა მწვანე ზოლი. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის შეიქმნება ხელმისაწვდომი გარემო. ასევე დაგეგმილია ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გზებზე ბეტონის საფარის მოწყობა, ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 22 ადმინისტრაციულ ერთეულში გზებზე 14 123,4 კვ/მ ბეტონი განაწილდება, დაახლოებით 5 კმ-ზე მეტი ბეტონის საფარის მოწყობა-რეაბილიტაციაა გათვალისწინებული.

ქვეპროგრამით ასევე დაგეგმილია ქალაქ ქობულეთის სანაპირო ზოლში არსებული ნაპირდამცავი



საფეხურებიანი კედლის რეაბილიტაცია (I ეტაპი) პროექტის I ეტაპი გულისხმობს მდინარე აჭყვადან 850 მ-ზე საფეხურებიანი ჯებირის რეკონსტრუქციას, არსებულის ჯებირის დემონტაჟი და ახალის მშენებლობა.

2. 1. 2. ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მოსაცდელის რეაბილიტაცია, ახალი მოსაცდელის მოწყობა (პროგრამული კოდი 03 01 04)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ქობულეთის მუნიციპალიტეტში 3 ერთეული არსებული და 21 ერთეული ახალი მოსაცდელის მოწყობა/რეაბილიტაციას და ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფლებში 1 ერთეული არსებული და 28 ერთეული ახალი მოსაცდელის მოწყობა/რეაბილიტაციას *მოეწყობა 28 ახალი მოსაცდელი, ასევე მოხდება 1 არსებული მოსაცდელის რეაბილიტაცია.*

2. 1. 3. მუნიციპალიტეტში გზების სამუშაოები (მათ შორის: ნაპირსამაგრი, საძირკვლების, ჯარგვალისა და ფერდსამაგრი სამუშაოები და მისასვლელი გზები, მდინარის კალაპოტების გასწორხაზოვნება,) (პროგრამული კოდი 03 01 05)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს მდინარე დეხვასა და მდინარე კინტრიშის გასწორხაზოვნებას.

2. 1. 4. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და ქალაქ ბათუმის მიმართულებით მუნიციპალური ტრანსპორტით (ავტობუსებით) მომსახურების პროგრამა (პროგრამული კოდი 03 01 06)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე (თემებში, სოფლებსა და ქალაქის ტერიტორიაზე) და ქალაქ ბათუმის მიმართულებით მგზავრთა გადაადგილების უზრუნველსაყოფად მუნიციპალური ტრანსპორტით, კერძოდ ავტობუსებით მომსახურების ხარჯების თანადაფინანსებას. აღნიშნული ქვეპროგრამა განხორციელდება შპს „ქობულეთის ტრანსრეგულირების“ მიერ.

2.1.5. ქობულეთის მუნიციპალიტეტში სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებების –სამუშაოები (პროგრამული კოდი 03 01 10)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ქობულეთის მუნიციპალიტეტში სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიების – სამუშაოებს გასულ წლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უხვი ნალექის შედეგად გააქტიურებულ მეწყერულ პროცესებით მიყენებული ზარალის ლიკვიდაციის მიზნით შესაბამისი სამუშაოების ჩატარებას, სადაც დაგეგმილია ფერდსამაგრი სამუშაოების ჩატარება.

2. 2. კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 02)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მოწესრიგების სამუშაოები, მუნიციპალიტეტის გარე განათების არსებული ქსელის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ყველა ხარჯები. უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის ტერიტორიების დასუფთავება და მაწანწალა ცხოველებისგან დაცვა, წყალმომარაგების უზრუნველყოფისა და მოსახლეობაზე სასმელი წყლის მიწოდების გაუმჯობესების მიზნით განხორციელდება წყალსადენის სათავე ნაგებობების მშენებლობა და რეაბილიტაცია, მოწესრიგდება საკანალიზაციო სისტემები.

2.2.1. მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების და ეზოების მოწესრიგების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქეთევან წამებულის №1-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა: გარდამავალი პროექტის ფარგლებში განხორციელდება დაბა ოჩხამურში, ქეთევან წამებულის №1-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ამორტიზებული შენობის დემონტაჟის და ახალი შენობის მშენებლობის სამუშაოები. ასევე პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქ ქობულეთში რუსთაველის ქ №121-ა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ეზოს კეთილმოწყობა, პროექტის ფარგლებში მოხდება მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ეზოს კეთილმოწყობა, მოწესრიგდება სანიაღვრე სისტემა, ეზო მოპირკეთდება დეკორატიული ფილებით, მოეწყობა გარე განათება და ასევე განხორციელდება სოფელ ხუცუბანში თეთროსნის დასახლებაში მრავალბინიანი სახლის ეზოს კეთილმოწყობა პროგრამის ფარგლებში მოხდება მრავალბინიანი



საცხოვრებელი სახლის ეზოს კეთილმოწყობა: მოეწყობა სანიაღვრე სისტემა, ეზო მოპირკეთდება დეკორატიული ფილებით.

2.2.2. გარე განათების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 02)

დღე-ღამის ნებისმიერ დროს მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის, გარე განათების ქსელის განვითარებისა და არსებულის სრულყოფისათვის, ენერგიის დაზოგვისაკენ მიმართული ღონისძიებების დანერგვა და განათების თანამედროვე წყაროების, ეფექტური ოპტიკური სისტემების, კონსტრუქციებისა და მასალების გამოყენების დანერგვა. წლის განმავლობაში ღამით ქალაქში უსაფრთხოებისთვის ხელის შეწყობის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის განათება, რისი გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის 4900 ზე მეტი წერტის ექსპლოატაცია, მოხმარებული ელექტროენერგიის ანაზღაურება. რაც ხელს შეუწყობს რეაბილიტირებულ გზებზე და შიდა კვარტალურ ეზოებში ქალაქის იერსახის შენარჩუნებას. ასევე ქვეპროგრამის ფარგლებში მოეწყობა ეკონომიური გარე განათების წერტები ჩაქვის ცენტრიდან სასტუმრო ოაზისამდე და განხორციელდება გარე განათების სამუშაოები მის მიმდებარე ტერიტორიებზეც.

2.2.3. მუნიციპალიტეტის სანიტარიული დასუფთავების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 03)

მუნიციპალიტეტის ერთერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენს კეთილსაიმედო სანიტარიული მდგომარეობის უზრუნველყოფა, შესაბამისად ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მაწანწალა ცხოველების დაჭერა, ტრანსპორტირება და დაჭერილი ცხოველების გაუნებელყოფა. გათვალისწინებულია ლითონის, გალვანიზირებული ნაგავშემკრები კონტეინერების ორასი ერთეულის შეძენა, ნაგავშემკრები კონტეინერის ასორმოცდაათი ერთეულის შეძენა, ასევე გათვალისწინებულია მდინარეების ზედაპირზე მოტივტივე ნარჩენების დამჭერი მოწყობილობის სამონტაჟო სამუშაოები. გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება და საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა, სისუფთავის და წესრიგის დაცვა, რასაც განხორციელებს ა(ა)იპ – ქობულეთის სანდასუფთავება. ხარჯს. ქვეპროგრამა დააფინანსებს 2017 წლის დაუფარავ ვალდებულებასაც. დაგეგმილია ჩოლოქის დასახლებაში არსებული ნაგავსაყრელისა და მიმდებარე ტერიტორიის რეაბილიტაცია.

2.2.4. გამწვანების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში 2018 წელს გაგრძელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მწვანე საფარის და მათ შორის მარადმწვანე დეკორატიული მცენარეების მოვლა-პატრონობის სამუშაოები, რასაც ახორციელებს ა(ა)იპ – ქობულეთის გამწვანება, პროგრამა დააფინანსებს მისი ფუნქციონირებისათვის საჭირო ყველა ხარჯს.

2.2.5. წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 05)

ქვეპროგრამით გათვალისწინებულია მოსახლეობისათვის და არსებული ორგანიზაციებისათვის ეკოლოგიურად სუფთა, სასმელი წყლის 24-საათიანი მიწოდების რეჟიმით უზრუნველყოფა. აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია: ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფ. ჩაისუბანში წყალსადენის სისტემის (მე-3 ეტაპი), პროექტი გულისხმობს წყლის სათავე ნაგებობის, რეზერვუარების, შიდა მაგისტრალისა და დაქსელვის სამუშაოების განხორციელებას. პროექტის მესამე ეტაპის ფარგლებში 2018 წელს განხორციელდება დარჩენილი შიდა მაგისტრალური ხაზებისა და დაქსელვის სამუშაოები, რითაც დასრულდება სოფ. ჩაისუბანში წყალსადენის სისტემის მოწყობა. აღნიშნული პროექტის დასრულების შემდეგ წყლით უზრუნველყოფილი იქნება 800-მდე ოჯახი. პროექტის – სოფ. მუხაესტატეს წყალსადენის სისტემის მოწყობა ფარგლებში მოხდება არსებული ამორტიზებული წყალსადენის სისტემის რეაბილიტაცია: მოეწყობა მაგისტრალური ხაზები, რომლის დაერთება მოხდება არსებულ რეზერვუარზე. სასმელი წყლით მომარაგება გაუმჯობესდება 500-მდე ოჯახს. პროექტი –სოფ. გვარაში, ხუცუბანში, ლედვაში (სკურა) და სოფელ სამებაში არსებულ წყალსადენებზე წყლის დებეტის გაზრდის სამუშაოების ფარგლებში გათვალისწინებულია პრობლემის აღმოსაფხვრელად სოფ. გვარაში, ხუცუბანში, ლედვაში (სკურა) წყლის დებეტის გაზრდის მიზნით დამატებით ჭაბურღილების მოწყობა, ხოლო სოფელ სამებაში მოძიებული იქნა ახალი წყლის რესურსი, რაზედაც მოხდება არსებული მაგისტრალის დაერთება. ქვეპროექტი – „სოფელ ქაქუთში, სოფელ შუაღელეში, სოფელ ქვედა აჭყვასა და სოფელ ზედა აჭყვაში წყალსადენის სისტემების საფილტრი



ნაგებობების მოწყობისა და სოფელ ხუცუბანში წყალსადენის სისტემის რეზერვუარის რეაბილიტაცია – ფარგლებში აშენდება წყალსადენის სისტემების საფილტრი ნაგებობები, რომლებიც უზრუნველყოფს წყლის გაფილტვრას და სუფთა წყლით მომარაგებას, სოფ. ხუცუბანში არსებული რეზერვუარის რეაბილიტაციის. ქვეპროგრამით დაგეგმილია აჭარის წყლის ალიანსის“ საწესდებო კაპიტალის შენატანი. ქვეპროგრამა – სოფ. ბობოყვათში წყალსადენის სათავე ნაგებობისა და ცენტრალური მაგისტრალის მოწყობის სამუშაოები“ ითვალისწინებს სოფ. ბობოყვათში წყლის მაგისტრალური და შიდა მაგისტრალური ხაზების შეცვლას, ასევე სათავე ნაგებობის მოწესრიგებას, მოხდება თანამედროვე ტიპის წყლის გაუსწებელყოფის დანადგარის მონტაჟი. ქვეპროგრამა ითვალისწინებს წყალანირების №5 (გელაურის დასახლება) სატუმბო სადგურზე სარეზერვო ტუმბოს ერთი ერთეულის შეძენას. ქვეპროგრამა ითვალისწინებს წყალსადენის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის ტექნიკური საშუალებების შეძენა (პოლიეთილენის მილის შესადუღებელი უთო და ქურო, წნევის რეგულატორები) ქვეპროგრამით გრძელდება ა(ა)იპ – ქობულეთის სოფლის წყალის ფუნქციონირებისათვის საჭირო ყველა აუცილებელ ხარჯის დაფინანსება, რომელიც მუნიციპალიტეტში უზრუნველყოფს სოფლების წყლის სათავე ნაგებობებისა და შიდა გაყვანილობის მიმდინარე რემონტის სამუშაოების განხორციელებას, ამორტიზებული წყლის მილების პერიოდულ შეცვლას, რაც პირველ რიგში დაკავშირებულია სოფლების ინფრასტრუქტურის სწრაფ განვითარებასთან და მოსახლეობის ცხოვრების კრიტერიუმების ცვლილებასთან. ქვეპროგრამა დააფინანსებს ა(ა)იპ – სოფლის წყალის 2017 წლის დაუფარავ ვალდებულებასაც. ქვეპროგრამით გათვალისწინებულია შპს „ქობულეთის წყალის“ სუბსიდირება მოსახლეობის სასმელი წყლის მიწოდებისათვის მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის გასული წლის ვალდებულების ხარჯის დაფარვის მიზნით.

2.2.6. სანიაღვრე არხებისა და საკანალიზაციო სისტემის მოწყობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 02 06)

ქვეპროგრამით გათვალისწინებულია ქობულეთში მე-3 სატუმბო სადგურთან ცენტრალური საკანალიზაციო მაგისტრალური ხაზის და გელაურის დასახლების საკანალიზაციო მაგისტრალური ხაზის რეაბილიტაციის სამუშაოები. ქობულეთში მე-3 სატუმბო სადგურის მიმდებარედ მაგისტრალური ხაზი 12 მ-იანი მონაკვეთი დაზიანებულია, რომლიც ვერ უზრუნველყოფს გამტარიანობას, პრობლემის მოგვარება დროულად არის საჭირო, რომ არ მოხდეს ქალაქის ცენტრალურ ადგილებში ფეკალების ამოსვლა. გელაურში პუშკინის ქუჩაზე არსებული მინი სატუმბო სადგურიდან ცენტრალურ სატუმბო სადგურამდე არსებული წნევითი ხაზი ვერ უზრუნველყოფს გამტარიანობას, ამისთვის საჭიროა მაგისტრალური წნევითი ხაზის შეცვლა უფრო დიდი დიამეტრის მილით. ქვეპროგრამით გათვალისწინებულია ქობულეთის მუნიციპალიტეტში ჩხეიძის ქუჩაზე (მტს დასახლება) დარჩენილი ნაწილის საკანალიზაციო სისტემის მოწყობა, პროექტის ფარგლებში მოხდება ჩხეიძის ქუჩაზე შიდა საკანალიზაციო მაგისტრალური ხაზის მოწყობა, რომელიც დაერთდება ცენტრალურ მაგისტრალურ ხაზზე, აგრეთვე მოეწყობა სააბონენტო ჯები და მილსადენები. საკანალიზაციო ქსელზე დაერთდება დაახლოებით 25 ოჯახი.

2.2.7. უკანონო მიშენებებისა და ჯიხურების დემონტაჟი (პროგრამული კოდი 03 02 07)

მუნიციპალიტეტის იერ-სახის შენარჩუნების მიზნით ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია უსახური, ამორტიზებული ნაგებობების და უკანონო მიშენებების დემონტაჟი.

2.3. მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობითი ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 03)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მუნიციპალიტეტის შენობა-ნაგებობების სარემონტო და კეთილმოწყობითი სამუშაოები.

2.3.1. სკვერებისა, პარკებისა და მოედნების კეთილმოწყობითი სამუშაოები (პროგრამული კოდი 03 03 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება: ქალაქ ქობულეთის სანაპირო ზოლში ზღვისპირა პარკის მოწყობა (I ეტაპი) პროექტი გულისხმობს 2 840 -მეტრიან მონაკვეთის კეთილმოწყობას, მიმდინარე წელს დაიწყება სამუშაოების I ეტაპი, რომლის ფარგლებში მოხდება მდინარე აჭყვადან 850 მ მონაკვეთზე ბულვარის მოწყობა: ტროტუარები და სავალი ნაწილი მოპირკეთდება დეკორატიული ფილებით, მოეწყობა მწვანე საფარი, მოხდება დეკორატიული ხე მცენარეების გაშენება, შეიცვლება განათების სისტემა, დამონტაჟდება საბავშვო ატრაქციონები და ტრენაჟორები, პარკში განთავსდება



დეკორატიული სკამები და სანაგვე ურნები. ზღვისპირა პარკი ადაპტირებული იქნება შშმ პირებისათვის და ასევე ქვეპროგრამით დაგეგმილია გორგილადის ქუჩის მიმდებარედ სანაპირო ზოლის გარეგანათების მოწყობისა და სადგურის მიმდებარე ტერიტორიის რეაბილიტაცია, მოხდება სავადმყოფოს უბანში არსებული რკინის მოაჯირების რეაბილიტაცია: ჩაუტარდება სამღებვრო სამუშაოები, მოეწყობა გარე განათება, ხოლო სადგურის ტერიტორიაზე მოხდება გზის სავალ ნაწილზე არსებული გამყოფი ზოლის რეაბილიტაცია და ტროტუარზე არსებული რკინის მოაჯირების შეღებვა, პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქ ქობულეთში რუსთაველის ქ. №140 – ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ეზოში არსებული სკვერის კეთილმოწყობითი სამუშაოები, სავალი ნაწილი (ბილიკები) მოპირკეთდება დეკორატიული ფილებით, მოეწყობა მწვანე კორდი, განთავსდება ფანჩატური, დეკორატიული სკამები და სანაგვე ურნები; მოეწყობა დეკორატიული გარე განათების სისტემა. ასევე მოხდება არსებული სტადიონის დაზიანებული ღობის შეკეთება.

2. 3. 2. მუნიციპალიტეტის შენობა-ნაგებობების სარემონტო და კეთილმოწყობითი სამუშაოები (პროგრამული კოდი 03 03 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება: ქალაქ ქობულეთში სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის შენობის მშენებლობა, ქვეპროექტით დაგეგმილია ქალაქ ქობულეთში სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის შენობის მშენებლობის დასრულება, პროექტი გულისხმობს თანამედროვე ტიპის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის შენობის მშენებლობას. ქალაქ ქობულეთში არსებული სასწრაფო სამედიცინო დახმარების შენობის ეზოს და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა, აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება ეზოს დეკორატიული ფილებით მოპირკეთება, მწვანე ზოლის მოწყობა, სადაც განთავსდება დეკორატიული სკამები და სანაგვე ურნები. ასევე გათვალისწინებულია სასწრაფო დახმარების ავტომობილებისათვის სამრეცხაო ფარდულის მოწყობა. ეზო ადაპტირებული იქნება შშმ პირებისათვის. ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ გორგაძეებში ზურაბ გორგილადის სახლმშენებლის სარეაბილიტაციო სამუშაოები, ქვეპროგრამით მოხდება მუზეუმის შენობის სრული რეაბილიტაცია: შეიცვლება სახურავი, შენობას ჩაუტარდება სრული რეაბილიტაცია, ასევე მოპირკეთდება ეზო- დეკორატიული ფილებით, მოეწყობა მწვანე ზოლი და გარე განათების სისტემა და ასევე ქვეპროგრამით დაგეგმილია ქობულეთის მუნიციპალიტეტში 7 ერთეული არსებული საპირფარეშოს რეაბილიტაცია და 3 ერთეული ახალი საპირფარეშოს მოწყობა. პროექტის ფარგლებში სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდება კომპლექსური სასპორტო სკოლას, განხორციელდება სადემონტაჟო სამუშაოები, მოხდება სველი წერილების რეაბილიტაცია, დამონტაჟდება მეტალო-პლასტმასის კარ-ფანჯრები, შეიღებება კედლები და გარე ფასადი, მოეწყობა შიგა წყალმომარეგაბა და კანალიზაცია, მოწესრიგდება სანიაღვრე სისტემა, განხორციელდება ელექტო ტექნიკური სამუშაოები.

2.3.3. დაბა ჩაქვი, აღმაშენებლის ქუჩა №9-32-34-36-38-25-45-62-64 ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოები პკ. 0+00-პკ. 4+90 (პროგრამული კოდი 03 03 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება: დაბა ჩაქვი, აღმაშენებლის ქუჩა №9-32-34-36-38-25-45-62-64 ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოები პკ. 0+00-პკ. 4+90, პროექტის ფარგლებში დაგეგმილია დაბა ჩაქვში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოების მოწესრიგების სამუშაოები: ეზოები, ტროტუარები მოპირკეთდება დეკორატიული ფილებით, მოეწყობა სანიაღვრე სისტემა, ძველი გარე განათების სისტემა შეიცვლება ახალი დეკორატიული გარე განათებით, ეზოებში მოეწყობა ფანჩატური; განთავსდება საპარკე სკამები და საბავშვო ატრაქციონები.

2.4. საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შეძენა (პროგრამული კოდი 03 04)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციების შეძენა.

2.5. საცხოვრებელი ბინების სადეზინფექციო ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 06)

მუნიციპალიტეტში სხვადასხვა ინფექციური დაავადებების მინიმუმამდე დაყვანის მიზნით აუცილებელია ისეთი პრევენციული ღონისძიების გატარება როგორცაა სადერატიზაციო და სადეზინფექციო სამუშაოების ჩატარება.

2.6. აზომვითი ნახაზების შედგენის ხარჯი (პროგრამული კოდი 03 07)



მუნიციპალიტეტში არსებული შენობა-ნაგებობების, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების, ხაზობრივ ნაგებობების აზომვითი ნახაზების მომზადება და მისი შემდგომი მუნიციპალურ საკუთრებად დარეგისტრირება ხელს შეუწყობს არსებული ქონების მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში განკარგვას. პროგრამა დააფინანსებს 2017 წლის დაუფარავ ვალდებულებასაც.

2.7. სხვადასხვა სანიტარიულ-ჰიგიენური და ლაბორატორიული გამოკვლევების ხარჯი (პროგრამული კოდი 03 08)

ტურიტული სეზონის დადგომამდე და სეზონის განმავლობაში აუცილებელი ხდება, ტურისტულ ობიექტებში გარემო ზემოქმედების ფაქტორებისა და მიკროკლიმატის მაჩვენებლების, კვების ბლოკების მდგომარეობის მოქმედ სანიტარიულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა.

3. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებშიც განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, ინვენტარით უზრუნველყოფა და ახალი ბაღების ფუნქციონირება.

3.1. სკოლამდელი განათლების დაფინანსება (პროგრამული კოდი 04 01)

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს სკოლამდელი განათლება წარმოადგენს რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია.

3.1.1. ა(ა)იპ – ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანება (პროგრამული კოდი 04 01 01)

მუნიციპალიტეტში იფუნქციონირებს საბავშვო ბაღები, სადაც სკოლამდელ აღზრდა-განათლებას მიიღებს 2800-ზე მეტი ბავშვი. მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით ქვეპროგრამა მოიცავს ბაღების სასწავლო-აღმზრდელობითი მომსახურების და კვებითი მომსახურების ხარჯების სრულ დაფინანსებას და ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა სხვა დანარჩენ ხარჯს. ქვეპროგრამა დააფინანსებს 2017 წლის დაუფარავ ვალდებულებასაც.

3.1.2. საბავშვო ბაღების მშენებლობა, რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 04 01 02)

პროგრამით გათვალისწინებულია ბაღების განტვირთვის მიზნით ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა: ქვეპროგრამით 2018 წელს დასრულდება სოფელ წყავროკაში ახალი საბავშვო ბაღის მოწყობა – პროექტის ფარგლებში მოეწყობა თანამედროვე ტიპის 2 სართულიანი საბავშვო ბაღი, მოეწყობა სათამაშო ოთახები, საძინებლები, დარბაზი, სველი წერტილებით. პროგრამის ფარგლებში ბაღის ეზოს მოპირკეთდება დეკორატიული ფილებით და მწვანე ზოლით, სადაც განთავსდება საბავშვო ატრაქციონები. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ბაღებს ჩაუტარდება სარეაბილიტაციო სამუშაოები: ჩატარდება სამღებვრო სამუშაოები, მოწესრიგდება სველი წერტილები. ასევე აღნიშნული პროექტის ფარგლებში მოხდება ჩაისუბანში საბავშვო ბაღის ტერიტორიის (ეზოს და სკვერის) დეკორატიული ფილებით მოპირკეთება, მწვანე ზოლის მოწყობა, დამონტჟდება საბავშვო ატრაქციონები, განთავსდება დეკორატიულის სკამები და ურნები. მოეწყობა განათება და შემოიღობება. ეზო ადაპტირებული იქნება შშმ პირებისათვის. ქვეპროგრამით დასრულდება სოფელ აჭყვისთავისა და სოფელ ჩაისუბანში საბავშვო ბაღის მოწყობა.

4. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 00)

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას,



წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შესძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება.

4.1. სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების და კლუბების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება.

2018 წლის განმავლობაში გაიმართება სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებები და დაფინანსდება:

- სარაგბო საკლუბო გუნდი „პონტო“ მატერიალური მხარდაჭერის მიზნით.
- ა(ა)იპ „ფრენბურთის, ხელბურთის, კალაბურთის სათამაშო სახეობების სპორტული კლუბი-ქობულეთი“.
- ა(ა)იპ – ქობულეთის კომპლექსური სასპორტო სკოლა.

4.1.1. ა(ა)იპ – ქობულეთის კომპლექსური სასპორტო სკოლა (პროგრამული კოდი 05 01 01)

სკოლაში ფუნქციონირებს შემდეგი წრეები: თავისუფალი ჭიდაობა, ძიუდო, ძალოსნობა, ველოსპორტი, რაგბი, ჭადრაკი, ფეხბურთი (გოგონათა და ჭაბუკთა). ტარდება შიდა სასკოლო და ამხანაგური შეხვედრები. წლის განმავლობაში სკოლის ჯგუფებში მოსწავლეთა მომზადების დონის შემოწმების და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის და საქართველოს ეროვნულ ნაკრებ გუნდებში წარმატებული სპორტსმენების გამოვლენის მიზნით სასპორტო სკოლა მონაწილეობას ღებულობს საოლქო და რესპუბლიკურ სპორტულ ღონიძირებებში.

4.1.2. სპორტული ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 01 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სპორტის სხვადასხვა სახეობების განვითარება-პოპულარიზაცია და ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ უზრუნველყონ სპორტსმენების განვითარებისათვის შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერ სპორტსმენთა წახალისება. გაგრძელდება სხვადასხვა სპორტული პროექტების მხარდაჭერაც.

4.1.3. სპორტული საკლუბო გუნდის მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 05 01 03)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს მხარდაჭერის ფარგლებში სარაგბო კლუბის დაფინანსებას. კერძოდ სარაგბო კლუბი „პონტოს“ მხარდაჭერის პროგრამა ითვალისწინებს სხვადასხვა ღონისძიებებში მონაწილეობის მიზნით ტრანსპორტირების დაფინანსებას, სპორტულ თამაშებში მონაწილეობის ხელშეწყობას სხვადასხვა მიმართულებებით, აგრეთვე გუნდის ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს.

4.1.4. სპორტული მოედნების მოწყობა (პროგრამული კოდი 05 01 04)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ქალაქ ქობულეთის ცენტრალური სტადიონის „შუქურას“ სარეაბილიტაციო სამუშაოებს, ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება ქობულეთის ცენტრალურ სტადიონის მიმდებარედ სავარჯიშო მოედნის კეთილმოწყობა, რაც გულისხმობს ხელოვნური საფარის მოწყობას სადრენაჟე/სარწყავი სისტემებით ასევე ქვეპროგრამა ითვალისწინებს სოფელ აჭყვისთავში სტადიონის მოწყობას, მოეწყობა ახალი სპორტული მოედანი, რომელიც შემოიღობება, ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია დაბა ოჩხამურში, აგურქარხნის დასახლებაში არსებული სტადიონის რეაბილიტაცია, პროექტის ფარგლებში რეაბილიტაცია ჩაუტარდება არსებულ სტადიონს: შეიღებება, კალათბურთის ფარი შეკეთდება და დაიგება ხელოვნური საფარი. პროექტის ფარგლებში დაგეგმილია სოფელ წყავროკაში არსებული სტადიონის რეაბილიტაცია: მოხდება სტადიონის ღობეების შეცვლა, შეიცვლება ფეხბურთის ბადეები, რეაბილიტაცია ჩაუტარდება გასახდებელს. ასევე მოწესრიგდება სტადიონის მიმდებარედ სანიაღვრე სისტემა.

4.1.5. ა(ა)იპ – „ფრენბურთის, ხელბურთის, კალათბურთის სათამაშო სახეობების სპორტული კლუბი-ქობულეთი“ (პროგრამული კოდი 05 01 06)



ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ფუნქციონირებისათვის საჭირო ყველა ხარჯების დაფინანსება.

4.2. კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები.

4.2.1. ა(ა)იპ – სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება ქობულეთის სახელოვნებო სკოლა (პროგრამული კოდი 05 02 01)
